ZIHLSN - 7

# შ.პ.ს ,,ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო"-ს

# სწავლებების გეგმა-გრაფიკი

შესავალი

წინამდებარე შრომის დაცვის ინსტრუქტაჟების ჩატარების და აღრიცხვის წესები - (შემდგომში - წესები) მოიცავს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების ჩატარების, აღრიცხვის და მათთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების საერთო ნორმებს.

ორგანიზაციის ტერიტორიაზე უნდა დაწესდეს მუდმივი კონტროლი წინამდებარე წესების მოთხოვნების შესრულებაზე. შრომის დაცვის ინსტრუქტაჟების ჩატარების და აღრიცხვის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ თანამშრომლებს, რომლებსაც აკისრიათ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების ჩატარება.

აღნიშნული ინსტრუქცია შედგენილია „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ორგანიზაციის შენაგანაწესის და შრომის უსაფრთხოების განსაზღვრელი სხვა ნორმატიული აქტების გათვალისწინებით.

ზოგადი მოთხოვნები

**1.1** სამსახურში მიღებისას (ან სხვა სამუშაოზე დაგაყვანისას) თანამშრომელს ჩაუტარდება:

- შესავალი და პირველადი ინსტრუქტაჟები;

შემდგომი მუშაობისას თანამშრომელს უტარდება:

- განმეორებითი, არაგეგმიური (რიგგარეშე) ინსტრუქტაჟები.

**1.2** იმ პირებს, რომლებიც მოწვეულნი ან დაქირავებულნი არიან სამუშაოების ჩასატარებლად, სამუშაო ადგილზე უტადებათ პირველადი ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟის ჩატარების უზრუნველყოფს უსაფრთხოების სპეციალისტი ან წინასწარ განსაზღვრული სხვა პირი/ხელმძღვანელი, რომელსაც აკისრია ჩასატარებელი სამუშაოების კონტროლი (რომელთანაც სრულდება სამუშაოები).

**1.3** თანამშრომლებს ინსტრუქტაჟები უტარდებათ იმ თემატიკით და მოცულობით, რომლებიც აყმაყოფილებენ მათი ძირითადი ან შესათავსებელი სამუშაოების წარმოებისას შრომის დაცვის მოთხოვნების ცოდნას. ინსტრუქტაჟების თემატიკას განსაზღვრავს უსაფრთხოების სპეციალისტი.

**1.4** ყველა სახის ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდეგ, ჩამტარებლიამოწმებს მსმენელის მიერ ათვისებულ ცოდნას. თანამშრომელი რომელსაც არ ჩაუტარდა ან ვერ აითვისა

## შესავალი ინსტრუქტაჟი

**1.1** შესავალი ინსტრუქტაჟი უტარდება ყველა იმ პირს, რომელსაც ახლად იღებენ სამუშაოზე და ერთი საწარმოდან მეორე საწარმოში გადაყვანილ მუშას ან უმცროსი რანგის სამოსამსახურო ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, აღნიშნულ პროფესიაზე მათი სამუშაო სტაჟის და თანამდებობის მიუხედავად. ასევე შესავალი ინსტრუქტაჟი უტარდება მივლინებულ მუშაკებს. შესავალი ინსტრუქტაჟის მიზანია - საწარმოში შრომის პირობების და შრომის დაცვის საერთო მდგომარეობის გაცნობა.

**1.2** შესავალი ინსტრუქტაჟი არ უტარდებათ საწარმოს შიგნით ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე გადაყვანილ პირებს.

**1.3** შესავალ ინსტრუქტაჟს ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მისი არყოფნის შემთხვევაში ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, რომელსაც დაკისრებული ექნება ეს მოვალეობა.

**1.4** იმ ქვეგანყოფილებებში, რომლებიც საკმაო მანძილით არიან დაშორებულნი ძირითადი საწარმოსაგან, შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარება შეუძლია ამ ქვეგანყოფილების უფროსს.

**1.5** შესავალი ინსტრუქტაჟი, საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული, არსებული სასწავლო ტექნიკური საშუალებების თვალსაჩინოებების და კონსპექტის გამოყენებით ტარდება ადმინისტრაციულ შენობაში.

**1.6** შესავალი ინსტრუქტაჟი ტარდება პირის სამუშაოზე მიღების ბრძანების დაწერის წინ.

**1.7** პირმა, რომელიც ატარებს შესავალ ინსტრუქტაჟს „ირ-2" ფორმის ჟურნალში უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი. ჩანაწერს, შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ, აკეთებენ ასევე პირის სამუშაოდ მიღების ბრძანებაში.

## პირველადი ინსტრუქტაჟი

**1.8** პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე უტარდებათ სამსახურში ახლად მიღებულ ან ერთ და იგივე საწარმოში ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანილ მუშებს, უმცროს მომსახურე პერსონალს და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მივლინებულებს და საწარმოო პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს. ინსტრუქტაჟის მიზანია - კონკრეტულ სამუშაო ადგილზე კონკრეტული საწარმოო მდგომარეობის და შრომის უსაფრთხო წესების გაცნობა.

**1.9** ეს ინსტრუქტაჟი უტარდებათ აგრეთვე პირებს, რომლებსაც ავალებენ მათთვის ახალ სამუშაოებს: დატვირთვა-დაცლის, სასოფლო სამეურნეო, საამშენებლო-სამონტაჟო და ასე შემდეგ, ასევე იმ მშენებლებს, რომლებიც ასრულებენ საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს მომქმედი საწარმოს ტერიტორიაზე.

**1.10** პირველადი ინსტრუქტაჟი შეიძლება არ ჩაუტარდეს იმ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, რომელთა მოვალეობის შესრულებაც არ არის დაკავშირებული გაზრდილ საშიშროებასთან.

**1.11** პირველად ინსტრუქტაჟს ატარებს უსაფრთხოების სპეციალისტი. გაზრდილი უსაფრთხოების სამუშაოზე მისაღებ პირებთან პირველად ინსტრუქტაჟს ატარებენ ინ დივიდუალურად, უშუალოდ სამუშაო ადგილზე, მოძრავ შემადგენლობაზე და მოწყობილობებზე მუშაობის უსაფრთხო მეთოდების პრაქტიკული ჩვენებით.

**1.12** პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარება უნდა მოხდეს ცალკეული პროფესიების მუშაკებისათვის განკუთვნილი კონსპექტების ან შრომის დაცვის ინსტრუქციების მეშვეობით. კონსპექტები და ინსტრუქციები დამტკიცებული უნდა იყოს წარმოების ხელმძღვანელის მიერ.

**1.13** პირველადი ინსტრუქტაჟი ტარდება, შესავალი ინსტრუქტაჟის შემდეგ, სამუშაოს დაწყებამდე.

**1.14** უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სამუშაო ადგილზე ატარებს პირველად ინსტრუქტაჟს აკეთებს სათანადო ჩანაწერს ირ-2 ფორმის ჟურნალში. პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ ჩანაწერი კეთდება ასევე სამუშაოზე მიღების ბრძანებაში.

**1.15** პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარების დროს უნდა გაშუქდეს:

საერთო ცნობები საწარმოო მოწყობილობების (მათ შორის მოძრავი შემადგენლობის), ტექნოლოგიური პროცესების, მათთან დაკავშირებული საშიში და მავნე ფაქტორების შესახებ;

სამომსახურო დანადგარების, მოძრავი შემადგენლობის, მანქანების დ ამ ექანიზმების მოწყობილობების საშიში ზონები, დამცავი მოწყობილობები;

უბანზე კოლექტიური დაცვის საშუალებები (მოძრავი შემადგენლობის მოახლეობის სიგნალიზაციის სისტემები, სავენტილიაციო მოწყობილობები, განათება) და მათი სარგებლობის წესები;

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და სამუშაო ადგილზე მათი გამოყენების წესი;

სამუშაოსათვის მზადების წესი (მოწყობილობების და დაცვის საშუალებების წესივრობის გასინჯვა);

ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და უბანზე მათი გამოყენების წესი;

უსაფრთხო მეთოდები ტექნოლოგიური ოპერაციების წარმოების დროს;

მომუშავეთა უსაფრთხომსვლელობის მარშრუტები;

საამქროსში და სატრანსპორტო და ტვირთ ამწე საშუალებები, უსაფრთხოების წესები დატვირთვა-დაცლის და გადასაზიდი სამუშაოებს წარმოების დროს;

მუშაკთა მოქმედებები სახიფათო სიტუაციების წარმოქმნის დროს.

## განმეორებითი ინსტრუქტაჟი

**1.16** განმეორებითი ინსტრუქტაჟი უტარდება ყველა მუშაკს მათი კვალიფიკაციის, განათლების და სამუშაო სტაჟის მიუხედავად, რათა აიმაღლონ და განიმტკიცონ ცოდნა შრომის დაცვის საკითხებში.

**1.17** განმეორბითი ინსტრუქტაჟი შეიძლება არ ჩატარდეს იმ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან და მოსამსახურეებთან, რომელთა სამუშაოს შესრულებაც არაა დაკავშირებული მაღალ საშიშროებასთან.

**1.18** განმეორებითი ინსტრუქტაჟი უნდა ჩაატაროს უსაფრთხოების სპეციალისტმა ინდივიდუალური ან ერთი პროფესიის მქონეთა ჯგუფთან, ბრიგადასთან, უბანთან ცვლასთან გასაუბრების სახით. განმეორებით ინსტრუქტაჟს ატარებენ სამუშაო ადგილზე პირველადი ინსტრუქტაჟის პროგრამის ცალკეული საკითხების და შრომის დაცვის ინსტრუქციის პუნქტების მიხედვით.

**1.19** განმეორებითი ინსტრუქტაჟების ჩატარების დროს საჭიროა პროგრამაში ჩაირთოს საკუთარ ან მონათესავა საწარმოში უკანასკნელად დაშვებული ტრავმატული შემთხვევების გამომწვევი მიზეზების განხილვა.

**1.20** განმეორებითი ინსტრუქტაჟის პერიოდულობა უნდა იყოს - არანაკლებ სამ თვეში ერთხელ, ხოლო მუშაკებისათვის რომელთა სამუშაო სტაჟიც ერთ წელზე ნაკლებია - არანაკლებ 1.5 თვეში ერთხელ.

**1.21** პირმა, რომელიც ატარებს განმეორებით ინსტრუქტაჟს სათანადო ჩანაწერი უნდა გააკეთოს უბნის (საამქროს, განყოფილების) ირ-2 ფორმის ჟურნალში მე-5 სვეტში იმ თემის ჩაწერით, რომლის მიხედვითაც ჩატარდა ინსტრუქტაჟი, ხოლო მე-6 სვეტში იწერება ინსტრუქტაჟის ათვისების და მუშაკის სამუშაოდ დაშვების ინფორმაცია.

## რიგგარეშე ინსტრუქტაჟი

რიგგარეშე ინსტრუქტაჟი ტარდება:

საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების გარჩევის, ასევე უსაფრთხო შრომის

უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევების გამოვლენის დროს, რომელთაც არ გამოიწვიეს, მაგრამ შეეძლოთ გამოეწვიათ ტრავმა, ავარია (ასეთ დროს ინსტრუქტაჟს უტარებენ მუშაკებს, რომლებიც არიან აღნიშნული დარღვევის თანამონაწილენი და მუშაკებს, რომელთაც აქვთ შრომის ანალოგიური პირობები);

სხვა საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების მაუწყებელი ბრძანებების, მითითებების გარჩევისას (ამავდროულად ყურადღება ექცევა ადგილობრივი პირობების თავისებურებას, რომლის დროსაც მოხდა შემთხვევა);

საწარმოო პროცესებში ცვლილებების შეტანის, დანადგარების, ინსტრუმენტის, საწყისი მასალების შეცვლის დროს. თუ ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, მოძრავი შემადგენლობის, მოწყობილობის შეცვლა, ცნობილია დროულად, მაშინ ამასთან დაკავშირებული შრომის დაცვის საკითხების შესწავლა მიმდინარეობს ტექნიკური მეცადინეობის დროს;

სამუშაოსაგან 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით მოწყვეტისას (ინსტრუქტაჟს უტარებენ სამუშაოდ გასვლამდე სამუშაო ადგილზე ჩასატარებელი პირველადი ინსტრუქტაჟის პროგრამით);

რიგგარეშე ინსტრუქტაჟს ატარებს უსაფრთხოების სპეციალისტი. ამ სახის ინსტრუქტაჟის ჩატარება შეიძლება ინდივიდუალურადაც და მუშაკთა ჯგუფთანაც.

რიგგარეშე ინსტრუქტაჟი ტარდება, წარმოებაში მომხდარი უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევიდან ან სხვა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების მოსვლიდან არაუგვიანეს 3 დღეში.

საწარმოო პროცესების ცვლილებასთან, მოწყობილობების შეცვლასთან, მუშაობის წყვეტასთან დაკავშირებული ინსტრუქტაჟები უნდა ჩატარდეს შეცვლილ პირობებში სამუშაოს დაწყებამდე.

პირი, რომელიც ატარებს რიგგარეშე ინსტრუქტაჟს აკეთებს ჩანაწერს უბნის (საამქროს, განყოფილების) ირ-2 ფორმის ჟურნალში. ამავე ჟურნალის მე-5 სვეტში იწერება უბედური შემთხვევის ბრძანების (დეპეშის) ნომერი ან შეცვლილ პირობებში შრომის უსაფრთხო პირობების მოთხოვნათა ჩამონათვალი. მე-6 სვეტში იწერება ინსტრუქტაჟის ათვისების და მუშაკის სამუშაოდ დაშვების ინფორმაცია.

## ყოველდღიური ინსტრუქტაჟი

ყოველდღიური ინსტრუქტაჟის მიზანია გააცნო თანამშრომელს მისი სამსახურეობრივი მოვალეობა. ყოველდღიური ინსტრუქტაჟები ტარდება მაშინ როცა სახეზეა სიმაღლეზე სამუშაოები, მიწისქვეშა სამუშაოები, ნავთობროდუქტებთან მუშაობა, მავნე ქიმიკატებთან მუშაობა.